80
თ-404

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

გურამ დავითის ძე თევზაძე

# ვერსიფიკაციულ და ტიპოლოგიურ პრობლემათა გადაწყვეტა ქართულ ლექსში

10.01.08 - ლიტერატურის თეორია

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლექსმცოდნეობის განყოფილებაში

ექსპერტი – გ ი ვ ი ლ ო მ ი ძ ე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები – 1. რ ე ვ ა ზ მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

2. მ ი ხ ე ი ლ ქ უ რ დ ი ა ნ ი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

3. ი ვ ე რ ი კ ა კ უ ბ ა ვ ა,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

4. გ ი ვ ი ქ ა ნ თ ა რ ი ა,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წამყვანი ორგანიზაცია – სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის „17“ დეკემბერს „12“ საათზე ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P 10.01. C №5 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაგზავნილია „17“ ნოემბერს 1999 წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — თ. კიკაჩეიშვილი



— 1478 —

# ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა და გამოკვლევის მიზანი: ყოველი ეროვნული ლექსწყობისათვის ტიპოლოგიისა და ვერსიფიკაციის პრობლემები ფუნდამენტურია. პირველ შემთხვევაში მთავარია გაირკვეს, რა ადგილი უკავია ამა თუ იმ ერის ლექსწყობას ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ცნობილ სქემაში, ხოლო მეორეში – რიტმული ბუნების რაგვარობა.

ქართულ ლექსწყობაში ორივე საკითხი, მიუხედავად მათი გადაწყვეტის რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტისა, დღეისათვის სადავოა და, ამდენად, გადაუჭრელი. ერთადერთი გზა ამ პრობლემათაგან საბოლოოდ თავდახსნისა კვლევის მეთოდების შეცვლაა, კერძოდ, ისეთი ობიექტური კრიტერიუმების შემუშავება, რომელთა გამოყენების შემთხვევაში, შედეგის მეცნიერული ღირებულება ეჭვქვეშ აღარ დადგეს. სწორედ ამგვარ კრიტერიუმად ნაშრომში წარმოდგენილია მათემატიკური სიზუსტით დადგენილი ფორმულები დინამიკურ თვითორგანიზებად სისტემათა განვითარების ზოგადი კანონზომიერებების შესახებ, რომელთა ერთ-ერთ გამოვლენადაა მიჩნეული პოეზიის ფენომენი, როგორც ენის მექანიზმის ევოლუციის უმაღლესი საფეხური.

თემის აქტუალობას, ძირითადად, განაპირობებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პრობლემათა გადაწყვეტის ზოგადი მეთოდიკის დამუშავება არა მხოლოდ ქართული ლექსისათვისაა უმნიშვნელოვანესი, არამედ, არ ზღუდავს რა მიდგომის ზოგადობას, გამოსადეგია სხვა ეროვნულ ლექსთწყობათა შემთხვევებისთვისაც, სადაც არ არსებობს ერთიანი აზრი ანალოგიურ მიმართებაში.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქართული ლექსწყობისათვის ფუნდამენტური – ტიპოლოგიისა და ვერსიფიკაციის – პრობლემების გადაწყვეტა, რაც დღემდე, ჩვენი აზრით, მხოლოდ იმიტომ იყო გაძნელებული, რომ კვლევა მხოლოდ ერთი დარგის (კერძოდ, ლიტერატურისმცოდნეობის) მეთოდებით მიმდინარეობდა, რაც არ გამორიცხავდა მკვლევართა სუბიექტურ მიდგომას პრობლემებისადმი. ნაშრომში სრულად იცვლება პრობლემათა გადაჭრასთან მისასვლელი გზები: კვლევა მხოლოდ ზუსტი მეცნიერებისათვის დამახასიათებელ პრინციპებზე იგება, რის გამოც ნაშრომში მიღებულ დასკვნებსა და შედეგებს გააჩნიათ ობიექტურობის პრეტენზია.